



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030420086385615

№ 04-389/ო

05 / ნოემბერი / 2015 წ.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის
№ 04-156/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში განხორციელებული საკადრო ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი სათათბირო ორგანოს შექმნისა და მისი საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის № 04-156/ო ბრძანებაში განხორციელდეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო), სათათბირო ორგანოს სახით, შეიქმნას „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირობების შესრულების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლების მხრიდან წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კოლევითი ორგანო (შემდგომში-კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა სოფრომაძე - კომისიის თავმჯდომარე, სააგენტოს დირექტორი;

ბ) თენგიზ აბაზაძე - კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მისი არყოფნის შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გ) თამაზ მოდებაძე - კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მისი არყოფნის შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

დ) პავლე ცაძიკიძე - კომისიის წევრი, სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსი;

ე) დიმიტრი გამეზარდაშვილი - კომისიის წევრი, სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ვ) ავთანდილ ვასაძე - კომისიის წევრი, სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ზ) კახაბერ ჩხარტიშვილი - კომისიის წევრი, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი;

თ) მაგდა ნასყიდაშვილი - კომისიის წევრი, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ი) მათა მალაქელიძე-ხომერიკი - კომისიის წევრი, სააგენტოს საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსი;


კ) ირაკლი ყუფუნია - კომისიის წევრი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ლ) ნინო გოგიჩაიშვილი - კომისიის წევრი, შესრულებული სამუშაოს მართვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.“

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე